# რუბიკონი

ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

რევოლუციის მუზეუმი
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

№ 14

მისამართი: ტფილისი ხელოვნელის სასახლე სერგ. ქ. № 13, ტელ. 17 51

ფასი 300 ათასი მან.

ᲙᲕᲘᲠᲐ 25 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ 1923 Წ.

კონტორა—პუშკინის პასაჟი ტელ. № —08

## ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ

ტფილისი უკვე ემზადება მომავალ სეზონისთვის. უნდა ითქვას მართალი რომ ამისთანა სამზადისი ჯერ არ ყოფილა. მილიარდებია გადადებული იმისთვის რომ თეატრები იქნენ შეკეთებულნი. ზოგი თეატრის შეღებვაც გადაწყვეტილია. ქართული დრამის დასი არასდროს არ ჰყოფილა ასეთ კარგ პირობებში ჩაყენებული... მთელი ზაფხული სახელმწიფო ხარჯით ისინი აგარაკზეც ისვენებენ, რომ ძალა მოიკრიფონ და თანაც იქვე ემზადებიან სეზონისთვის და გადიან პიესებს. თითქმის ასეთივე პირობებშია დრამატიული სტუდია, რომელიც მხოლოდ ჩანაჩახია ხელოვნების, მთელი სტუდია აგრეთვე სახელმწიფო ხარჯით ისვენებს და ემზადება მეორე აგარაკზე... ეხლა კიდევ სდგება ახალი სტუდია ბ. ვახტანგ ჭედლიშვილისა და ალ. წუწუნავასი, ეტყობა ესეც მოეწყობა სახელმწიფო ხარჯზე და მოსკოვში იმეცადინებს და მოემზადება დრამატიული ხელოვნების ასაყვავებლად. ახლად დაარსებული სამხატვრო აკადემიაც აწყობს მოსკოვში სახელმწიფო ხარჯზე ესკურსიას, რომ დაათვალიეროს რუსული მხატვრობა და გაეცნოს როგორც ძველ ისე ახალ მიღწევებს... სახელმწიფო ოპერისთვის ახალი პირობებია ამბობენ იტალიიდან იწვევენ ტენორებს, ჩვენი მომღერლები კი ხელოვნებაში მოსამზადებლად გაიგზავნენ ევროპაში: (ა. ინაშვილი, ვ, შარაშიძე და რამდენიმე კიდევ კონსერვატორიის მოწაფეები და მასწავლებელნი. ასე გასინჯეთ, ისეთ დარგსაც, როგორც სკულპტურაა, სადაც აქამდე მარტო ი. ნიკოლაძე იყო, იმასაც გაუჩდა ახალი სპეციალისტი, მ. ჭიაურელი, რომელიც სახელმწიფო ხარჯზე იქმნა ევროპაში გაგზავნილი.

აუარებელი სტუდენტები იგზავნებიან სახელმწიფო ხარჯზე რუსეთის უმაღლესს სასწავლებელში.

ათასზე მეტი კიდევ გლეხები, მუშები და აგრეთვე სპეციალისტები მიემგზავრებიან მოსკოვში სახელმწიფო ხარჯზე რომ ნახონ სასოფლო სამეურნეო გამოფენა და საზოგადოთ უცხო ქვეყანა. უეჭველია მეტად ასანიშნავია, რომ სახელმწიფო ამდენ მზრუნველობას იჩენს და მიუხედავათ ფინანსიურ კრიზისისა, რომლის გამოსწორებაც ჯერჯერობით ძნელია ამდენ სურვილებს ახორციელებს რასაკვირველია არ იქნებოხა ზრდილობა, რომ ეს კარგი დაწყება ვინმეს შეხარაებოდა.

არა სიხარბის გრძნობით, არამედ პროფესიონალის თავმოყვარეობისთვის უნდა აღნიშნულ იქნეს: რომ საბედისწეროთ მხოლოდ მწერლები არიან გამარტოხლებული, ერთად ერთი მწერლობა განიცდის დღეს უკანასკნელი აგონიას. ყველამ იცის, რომ აქამდე ასე იყო ეროვნული კულტურის თითქმის მარტო მწერლობა ასაზრდოებდა და ეს მთავარი ძარღვი დღეს გადაჭრილია და უნდა დაშრეს სისხლიჯან.

რას წარმოადგენს დღეს ქართული მწერლობა.

ვინ ეხმარება მას, რომ მოგონებათ არ იქცეს მწერალის პროფესია. ჩვენ არ გამოუდგებით იმას, რომ ევროპაში არ აგზავნიან მწერლებს, ანდა უბრალო აგარაკებზე დასასვენებლად დღეს მთელ საქართველოში მთელ ქართულ მწყრლობას ერთი ჟურნალი არ ჰქვს, რომ თავისი ნაწერები დაბეჭდილი ნახოს. ნაწერების გამოცემას ვინ ეღირსება? სახელმწიფო გამომცემლობის ალსავლის გარები დაკეტილია ორიგინალურ ქართულ მწერალთა ნაწერების გამოცემისთვის.-, ეს კარები ალხად არასდროს არ გაიღება... საკუთარ გამოცემისთვის გალატაკებულმა მწერალმა თანხა, რომ კიდევაც იშოვოს, წიგნების გარცველებას საქმე ისეა მოწყობილი, რომ ქუთაისშიაც ვერ ჩაატანს...

მართალია მოსკოვში არსებობს ინსტიტუტი ლიტერატურის, რომელის დირექტორიც ვალერი ბრიუსოვია, მაგრამ იქ ერთი სტუდენტიც არ გავუგზავნიათ და ანალოგიურ დაწესებულების დაარსებაზე საქართველოში ვინ იფიქრებს?

ქართულ სახელმწიფო უნივერსიტეტში მსოფლიო ლიტერატურის კათედრაც კი არ არსებობს

საკითხია რა უნდა ჰქნას ახალგაზდამ, რომ მწერლობისთვის მოემზადოს. (თუკი ამის სურვილი ვინმეს ექნება) მისთვის ყველა კარები დაკეტილია... ამიტომ ხდება, რომ ძველი პროფესიონალებიც სტოვებენ თავის პროფესიას და იწყება მწერლობის დეგენერაცია... ეხლაც გათავდება ზაფხული, არტისტები დასვენებულნი, ახალი რეპერტუარით მოადგებიან ტფილისის თეატრებს, მხატვრებსაც ექებათ აკადემია. მუსიკანტებს კონსერვატორიები აქაც და ევროპაში...

და ქართული მწერლები: რომელთაც თეატრი დაარსეს წარსულში და კონსერვატორიაც გახსნეს უნივერსიტებიც ააგეს დაუწყებენ სხვას თვალში ყურებას

მათვის სეზონი მხოლოდ თავის დამცირებაა და თარგმანებზე წანწალი, მათვის სეზონი კიდევ ერთი დამტკიცებაა მწერლობის ზედმეტობისა საქართველოში.

როცა იგონებ ილია ჭავჭავაძეს, რომელსაც ხელში ეჭირა მთელი ეროვნული კულტურის აპარატი და დავით აღმაშენებელივით ჰქმნიდა ახალ და ახალ დაწესებულებებს, სამუდამო ეჭვი იპყრობს გულს.

ნუ თუ ასე უნდა მოთავდეს ეს საგმირო ბრძოლა მწერლობისთვის, ნუ თუ ქართულ მწერლობას არ განოაჩნდება უკანასკნელი ძალღონე, რომ ყველასგან დავიწყებულმა. თვითონ გამონახონ უკანასკნელი საშუალება თავისა და მწერლობის გადარჩენის. მომავალი სეზონი — ყველაზე უფრო მწერლობის გამოცდის სეზონია... ყველა მწერალი, ვინც გრძნობს მწერალის პასუხისმგებლობას დაუფიქრდება ამ სეზონს:

სიამაყე ანგრევს კლდეს და უკანასკნელი მონდომება ყველაფერს გააკეთებს...

**ვარამ გაგელი.**

## ტრიბუნის რედაქციას

„რუბიკონის“ № 13 დაბეჭდილია ჩემი ფელეტონი „მწერალთა კავშირი“ მემორიალი“. ამ წერილს გამოუწვევია გაზეთ „ტრიბუნაში“ პასუხი, რომელიც ხელს აწერს ვილაც „ორი“ რომელსაც როგორც ეტყობა ახლო დგას მწერალთა კავშირებთან. ავტორი ბრალს მდებს იმაში, რომ მე ამ ფელეტონში ხშირად ვასახელებ ჩემ თავს და იმ საქმეს რომელიც მე გამიკეთებია მწერალთა კავშირში. მე მგონია, რომ აქ უბრალო გაუგებრობას აქვს ადგილი.

ალბათ „ორს„ ვერ გაუგია, რომ ეს მემორიალი დაწერილია სწორედ როგორც მოგონება, ამიტომ თავის თავად ცხადია მე ვეხებოდი ისეთ საკითხებს, რომლის გადაწყვეტის დროს მე მქონდა ერთგვარი როლი ან და რომელის ავტორი თვითონ მე ვიყავი, რასაკვირველია მე რომ მეკისრა მწერალთა კავშირზე საზოგადოთ წერა, მაშინ გვერდს ვერ აუხვევდი სხვა წევრებსაც, რომელიც რასაკვირველია დიდი ამაგი მიუძღვით მწერალთა კავშირის ორგანიზაციაში.

რომ ეს წერილი არ არის დაწერილი ჯგუფური თვალსაზრით, ამას ისიც მოწმობს, რომ აქ ნახსენები არც კი არის გრიგოლ რობაქიძე, რომელიც მთავარი ორგანიზატორთაგანი იყო ამ კავშირისა პირველად: მე აგრეთვე არავითარი სურვილი არ მქონია, რომ ძველი მწერალთა კავშირისთვის რაიმე ჩრდილი მიმეყენებია. მე ერთნაირად ვწერდი ორივე კავშირზე, რომ მათ ვერ გააკეთეს ის რისი გაკეთება შეეძლოთ. ამასთანავე ამის მიზეზებსაც ვასახელებდი, და ეს მიზეზები სწორედ მწერალთა კავშირს არ ეხებოდენ. ყოველ შემთხვევაში მე არავითარი სურვილი არ მქონია ამ ფელეტონში გამწვავებულ პოლემიკისთვის მიმეცა რაიმე საბაბი. ერთი, რომ საერთოდ პოლემიკა მე არ მიმაჩნია კავშირებისთვის სასარგებლოდ და მეორეც ის არის, რომ კმარა რაც ჩვენი პოლემიკით უნიჭო მწერლებმა სახელი გაიკეთეს, და ამ მანიაკობამ ყველაზე უფრო მწერალთა კავშირი აზარალა. მე არ მგონია რომ ჩემ ფელეტონი ყოფილიყოს რაიმე ასეთი, რომელიც გულისხმობდეს განძრახვას ვინმეს ან ჩრდილი მიაყენოს. ან და შეურაცჰყოს. წერილში მე მგონია არის ობიექტიური მასალა, რომელიც უნდა გახდეს საგანი აზრთა გაცვლა გამოცვლისა, ამით მწერლობა მხოლოდ მოგებული იქნება. რაც შეეხება „ორის“ (შენიშვნას რალაც მორჯულებაზე და მორიგების პრიმატობაზე ამაზე სწორედ მას უნდა შეეკივებია თავი: რადგან მას შეუძლია მართლა გამოიწვიოს არა სასურველი პოლემიკა, რომელიც შეიძლება პირადათ ვისმესთვის სასარგებლო იყოს, მაგრამ კავშირისთვის მავნებელი. მე სიამოვნებით უპასუხებ ბ „ორს“ თუ ის მოიხსნის პსევდონიმს და სერიოზულად შეეხება წერილში წამოყენებულ ტეზისებს...

**ტიციან ტაბიძე**

---

### ᲞᲘᲔᲠ ᲑᲔᲜᲣᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ

ჟურნალი „თანამედროვე დასავლეთში“ დაბეჭდილია რეცენზია პიერ ბენუას რომანის „დავიწყებული“. მოგვყავს ეს რეცენზია თითქმის სრულებით: რადგან რამდენამდე ის საინტერესოა საქართველოსთვის: „ანტლანტიდის“ ნიჭიერმა ავტორმა პიერ ბენუამ დასწერა ახალი რომანი: „დავიწყებული“: შინაარსი ასეთია: ფრანგი ოფიცერი, მონაწილეა რომელიღაც რაზმის **კავკასიის** საზღვარზე, რომელიდ გაგზავნილია იქ გადაარჩინოს სომხები თათრების ჟლეტისგან. ეს ოფიცერი უცებ ჩამოცილდება რაზმს და მოხვდება უდაბნოში. დილას ის წააწყდება ახალი ჯარის ესკადრონს, რომელიც შეიარაღებულია შვილდ ისარით ეს არის ოსიპლუის რესპუბლიკა, რომელსაც ყავს ჯარი 3000 კაცისგან შემდგარი. მცხოვრებნი—აღმოსავლეთის მოდგმისანი არიან, მაგრამ მშვენივრად ლაპარაკობენ ფრანგულად. მთავრობის სათავეში სდგას კომისართა საბჭო, ერთ კომისარს ჰქვია ბარანოვიჩი, სხვებსაც შესაფერი სახელები ჰქვიათ. აწერილია თავბრუ-დამხვევი მოგზაურობა, რომლის დროსაც გმირის გული შუა არის გაპობილი, ორი ულამაზესს ქალის სიყვარულით: ერთი არის ოსუპლურიის დედოფალი და მერმე პოლკლოდელის პიესებს გასტროლიორი ქალი ფრანგული არტისტკა. შემდეგ ეს ოფიცერი იპარავს სამეფო ბრილიანტებს, (კომისრები აგრეთვე სცდილობენ ამ ბრილიანტების მითვისებას) და მას უნდა გაიქცეს დედოფალთან თუ არტისტკასთან ერთად მაგრამ უცაბედათ იღუპება მისი მხიარული სიზმარი მას გაეღვიძება:

რა არის ეს, შეიძლება იყოს სატირა საბჭოთა უფლებისა პირველ დღეებში. კომისრები გამოყვანილი არიან სულელებათ, მაგრამ არა ბოროტმოქმედებათ...

შეიძლება აქ იყოს გამოყვანილი წინანდელი საქართველო? უფრო დასაჯერებელია „დავიწყებული“ იყოს გამოხატვა იმ ფანტასმაგორიის, რომლითაც მოცული არიან ფრანგები რუსეთის და კავკაზის ამბებით.

რეცეზენტი დასძენს, რომ ეს რომანი, თუმცა იწვევს გულწრფელ სიცილს, მაინც მოკლებულია პიერ ბენუარებურ ჭკუა მახვილობას და შემოქმედებას...

## „ᲓᲐᲓᲐᲡ“-Ს ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲔᲑᲘ.

„დადა“ ეწოდება ყველაზე უფრო მემარცხენე ჯგუფს საფრანგეთის პოეზიაში.

„დადა“ უფრო მემარცხენეა ვინემ ფუტურისტები. მოგვყავს ჩვენ გაზეთში „დადას“-ს მანიფესტები და ლექსები. ამ ჟამად რედაქცია თავს იკავებს ამ მიმართულების დაფასებისგან. ამის შესახებ დაიბეჭდება „მეოცნებე ნიამორების“ № 10 ნომერში გაგრძელება ტიციან ტაბიძის წერილის „ირონია და ცინიზმი“ რომელიც ეხება მემარცხენეობის პრობლემას პოეზიაში შემდეგი სათაურით: **„ცისფერი ყანწები და დადაიზმი“.**

### I.

**ფრანსის პიკაბია.**

**დადას კანიბალის მანიფესტი.**

თქვენ ყველამ ადექით, ვისაც ბრალი გედებათ! ორატორს შეუძლია თქვენთან ლაპარაკი, მხოლოდ იმ პირობით, თუ თქვენ ფეხზე ამდგარი მოისმენთ.

— ფეხზე ამდარი, როგორც მაშინ, როცა მღერიან მარსელიეზას
— ფეხზე ამდგარი, როგორც მაშინ, როცა მღერიან „ღმერთო ფარვიდე“
— ფეხზე ამდგარი, როგორც მაშინ, როცა მღერიან „god save the King“.
— ფეხზე ამდგარი, როგორც ამართულ დროშების წინ.

უკანასკნელად, ფეხზე ამდგარი, როცა გელაპარაკებათ **დადა**, რომელიც გამოხატავს ცხოვრებას და ბრალს გდებთ თქვენ იმაში, რომ გიყვართ სნობიზმი, იმ წამშივე, როცა ის გაძვირდება.

თქვენ ყველამ დაჯდგით?.. სულერთია უკეთესია. ასე მე უფრო მეტი ყურადღებით მომისმენთ.

რას აკეთებთ თქვენ აქ რომ განრთხულხართ ლოკოკინებივით სერიოზულები—რადგან თქვენ სერიოზულები ხართ, ხომ მართლა?..

სერიოზულები, სიკვდილამდე სერიოზულები.

სიკვდილი მართლა სერიოზული საქმეა—არა?

კვდებიან გმირებათ ან იდიოტებათ—მაგრამ ეს ხომ სულ ერთია. ერთად ერთი სიტყვა, რომელიც არ არის ეფემერული ეს არის სიტყვა სიკვდილი. თქვენ გიყვართ სიკვდილი სხვებისთვის! სიკვდილი! სიკვდილი!..

მხოლოდ ფულები არ კვდებიან მარტო—ისინი მხოლოდ იცვლიან თავის ბინადრობას.

ის ღმერთია, რომელსაც თაყვანს სცემენ, ის სერიოზული პერსონაჟია. ფულები—კეთილ ოჯახებშიც კი არის მოწიწების საგანი. პატივი და დიდება ფულებს! ადამიანი, როდესაც ფული აქვს სათაყვანებელი ჯიცია.

პატიოსნების გაყიდვა და ყიდვა კი შეიძლება, როგორც უკანალის.

უკანალი კი წარმოადგენს ცხოვრებას, როგორც შემწვარი ვაშლები და როგორც თქვენ ყველა, რომელნიც ასეთი სერიოზულები ხართ. თქვენ უფრო ცუდი სუნი აგივათ ვინემ ძროხას.

დადას არაფრის სუნი არ უდის, რადგან ის თვითონ არარაა და არაფერი.

როგორც თქვენი იმედები—არარაობაა.
როგორც თქვენი სამოთხეები—არარაობაა.
როგორც თქვენი ღმერთები—არარაობაა.
როგორც თქვენი პოლიტიკოსები—არარაობაა.
როგორ თქვენი გმირები—არარაობაა.
როგორც თქვენი მხატვრები—არარაობაა.
როგორც თქვენი რელიგიები—არარაობაა.

ისტვინეთ, იყვირეთ, თუ გინდა ყარყატო ჩამიხიეთ—მერე ამის შემდეგ რა იქნება?.. შემდეგ კიდევ მე გეტყვით, რომ თქვენ ყველა ხართ—მსხლები და სამი თვის შემდეგ მე და ჩემი მეგობრები მოგყიდით თქვენ ჩვენ სურათებს რამდენიმე ფრანკებათ.

### II.

**ფილიპპო სუპო.**

**„ᲓᲐᲓᲐ-Ს“ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘ.**

„დადა“-ს არ აქვს მახსოვრობა. დღეს ის ლურჯია, ხვალ—მხიარული,— დადა ივიწყებს თავის საათებს დილდილობით და გადაყლაპავს საღამეობით. ის ერთმანეთში ურევს წამის მეათე ნაწილს და ბანკის ბილეთებს. ის ისე ინელებს თავის საჭმელს, რომ არც კი სჭამს. ის წითლდება არა სირცხვილისგან, აძლევს თავის თავს მოსაკლავათ და მაინც მშვენიერად სძინავს.

— **დადა** აღელვებელია, მაშინ როცა მშვიდათ არის. დადა ისე დიდხანს ძლებს, როგორც ბიუვარის ქაღალდი. დადა—მგელია. დადა—ფოსტის მარკაა. შეიძლება დადა გასცვალო სხვა დადაზე ყოველივე შიშის გარეშე, რადგან დადას ლურჯი თვალები აქვს, ისე როგორც მთვარეს. დადა—ღონიერია, როგორც იდიოტი. დადა—ისე სუსტია, როგორც ერთი თეფში წვენი. დადა დადის, დახტის, ფრინავს, ცხოვრობს, როგორც კრეტინი და როგორც ლაგამი. დადას ბევრი რამ ეშლება—მაგრამ მაინც შეუმცდარია. დადა თამაშობს კლარნეტზე, მის მაგივრად. რომ ნოხებს აკეთებდეს. დადა—ყველაფრის დამტევია, როგორც ზონტიკი, სასაცილოა, როგორც პლანეტა და ჩერჩეტი, როგორც ბატი. დადა ისევე საძაგლად ყარს, როგორც ვარდი და გავს თათარს. ის წითელია, როგორც მამალი, როგორც **დადა** და მსხვილია, როგორც ლორი. დადა უფეროა, უსუნო, უგემო, ამის გარდა **დადას** არ უყვარს ინტელექტი და ამაყათ უტოლებს მას თავის თავს.

ინტელექტი ყველაფერს ანათებს—ამბობს დადა.
დადა კი ყველაფერს სწვავს.
ინტელექტი იძლევა ჰაერს--დადა კი დახრჩობას.
ინტელექტი მომაკვდავია—დადა არის ტომატი.
ინტელექტი ყველაფერს იჭერს—დადა ყველაფერს გაურბის.
ინტელექტს შემოაქვს განათება—დადას არაფერი არ შემოაქვს.
ინტელექტს აქვს მომავალი—დადას არავითარი მომავალი არა აქვს.
ინტელექტი არის მანია—**დადა** არის **დადა**.

III.

ლუი არაგონ.

## სასამართლოს გარჩევა.

ორშაბათს, 27 დეკემბერს 1920 წელსა $9^{3}/_{4}$ საათზე კაფე „ექსცელსიორ“, როცა ჩავყარე შაქარი ჩემ შავ ყავას სიღრმეში, მე მივედი იმ დასკვნამდი, რომ მე სულელი ვარ. მე ავწონე არგუმენტები მომხრე და საწინააღმდეგო და გადავწყვიტე ამის შესახებ არავის არაფერი არ უთხრა.

მიყვარს მე განა თუნდა ერთი ადამიანის აზრი, ჩემო მცირე თანამედროვენო ან წინაპარნო? არა—ვხთქვი ერთხელ.

ველი განა რამეს ვისმესგან? არა, არა და არა.

მახსოვს მე განა ერთი წამი ბედნიერებისა ან ერთი წამი სევდის? კითხვა თვითონ შეიცავს პასუხს.

შემიძლია მე ვიცინო ვიტირო, ვილაპარაკო, გავინძრე? არა.

ვცხოვრობ განა მე? არა.

რაიმე მაიძულებს განა მე ამ კითხვების მიცემას? არა.

უსაზღვრო უიმედობა მიპყრობს მე ამ წამში. იმ მაგიდის იქეთ, სადაც მე ვზივარ, მე ვუყურებ ჩემ თავს სარკეში, მე დაწებებული ვარ აფიშით, სადაც გამოყვანილია: კანიბალები: ნეგრის ქალს ლურჯ ცაზე უჭირავს თავისი ბავშვი სრულიად ტიტველი.—ისეთივე მომავალი ანტროპოფაგია, როგორც მთელი ქვეყანა. ეს შენ ხარ—იდიოტი. შ.-შ.-შ.

ტკივილი—ეს ავტომობილია, ცა—მანერა სიტყვის.

ვფიქრობ განა მე ფიქრს? არ ვფიქრობ.

არ არის საშუალება ერთი იდეიდან მეორეზე გადასვლისა. მსჯელობის ყველა ფორმები—ტყუილი არის, ყველაფერია ერთი და იგივე იდეა, აი რატომაა რომ ლოგიკა არის ლოგიკა, მე შემიძლია შევიდე და გამოვიდე ერთ და იმავე კარებში, და თუ ეს ასეა, მე მეტი არაფერი დამრჩენია, გარდა იმისა. რომ დავწვე შესავალთან და ვსთქვა: არა!

განა მე შემიძლია ვსთქვა არა?.. შ... შ... შ...

მე 23 წლისა ვარ და კიდევ ორი თვისა და ოცდა ოთხი დღის. მე გამხდარი ვარ.

მე არ ვიცი იმ პირთა სახელები, მე რომ შემომჩერებიან. ფანჯარიდან მე ვამჩნევ მშვენიერ ქალს ყვითელ ავტოში ავტომატიურად რომ მიქრის.

მშვენიერი დარი დგას, სიცივე ერთიანად შეწყდა. ეს ილიუზიაა.

სახლები—ეს ქუჩის ნატეხებია—მე კი ხელით საგორებელი ტაჩკა.

განა მართლა მე ხელით სახმარი ტაჩკა არ ვარ? ს.. ს.. არა... არა!... უსარგებლო, გაუნძრეველი, გამოყრუებული და სათნოიანი (შ... ეს მე ვარ) წავიკითხე და დავამტკიცე მე ლუი არრაგონმა.

## დადაისტური აფორიზმები და მცნებანი.

1\. . . . . . სახლი, ერთად ერთი ადგილია—სადაც ყველაზე უფრო გრძნობ თავს შენ სახლში.

ფრინსი პიკაბია.

2\. დადა არის ცხოვრება უტუფლებოდ და უპარალელებოთ. დადა სასტიკად წინააღმდეგია მომავლისა. მივაფურთხოთ კაცობრიობას!..

ტრისტან ტცარა.

3\. არის რაღაცა რაც არ იციან: ეს არის დადაიზმი თვითონ დადას, იმადროს დადას იმხელა ძუძუები აქვს, რომ ყურებამდე უწევს.

ჟორჟ რიბემონ-დესსენ.

4\. მე მაქვს მხოლოდ ერთი შეხედულება: რომ მე ვარ თვითონ ჩემი თავის დროს გატარება და ძალიან ზრდილობიანი კაცი.

პოლ ელუარ.

5\. რასპუტინი იყო დადაისტი—ის მოსწონდა ქალებს, რადგან მის ჰქონდა ის რაც არ აქვს ალბერტ გლეზს. საერთოდ ალბერტ გლეზი ნამდვილი კვახია, რომელიც იზრდება ბურჟუაზიის ნეხვზე.

ანდრე ბრეტონ.

6\. არიან ხალხი, რომელიც ხსნიან ყველაფერს, იმიტომ, რომ არიან ხალხი, რამდენიც ამისგან სწავლობენ. წაშალეთ ესენი და დარჩება მარტო დადა.

ტრისტან ტცა რა.

7\. რადგან დადას დარჩენია სულ რამდენიმე წლისა, თვისა თუ დღის სიცოცხლე—დადა ეძებს ნოტარიუსს, რომ გადასცეს თავისი უკანასკნელი ნება.

რიბემონ დესსენ.

# დადაისტების ლექსები

ფრანსის პიკაბია.

მე ვარ—იავანელი

ათქევფილი ნალები—ძალიან გემრიელია.
ვიბაასოთ კულტურულ ქვეყნის სერიოზულ საგნებზე.
პოეზია შექმნილია დონ-კიხოტებისთვის.
მე თქვენ ყველას გიკოცნით მშვენიერ თვალებს მკითხველო-ქალებო!
თქვენ ვერ უარყოფთ, იმას, რაც არსებობს.
ველაყბოთ ერთმანეთს.
სად ცხოვრობთ თქვენ?
ჩემ აზრის სიღრმეში—ერთგული სტამბაა.
მშვენიერი წიგნი—ჩემი ნიჭის რეზიუმეა.
მასხრობაა, განა სხვა რაუნდა იყოს?..
ყველაფერი ხუმრობაა—ამერიკაში ყველაფერი დადაა...
მე—მევარ, ფრანსის პიკაბია
აი ამაშია ჩემი უბედურება.
ხელოვნების სიყვარული, ყველა სიყვარულს სჯობია!..
მე ის არ მჭირია და ამიტომ მჭამს ჩემი მოსამსახურე.
ყველაფერი ეს სულ არ არის სასაცილო!..
მე შევყურებ ჩემ თავს სარკეში.
მე ვგევარ იმ მცენარეს წმ. ანტონს, რომ მიუტანეს.
აი რაშია მთელი მედიდურობა.
რადგან მე ვიცვამ, როგორც ქალი—ცეკვის წინ.
ფილოსოფიური მოაზრება
— ბიფშტექსია არაყზე.
ქვეყნის მესამე ნაწილი
ეს არის ტატუიროვკა ცხვარის კალეზე.
ზანგის ქალებს
უდიდესი მოწყენა— . . . . მასტ-დოპტებისათვის,
შიშველი ფეხით, რომ მიაბიჯებენ მზის გარშემო
. . . . გასვრილი აქვთ ნაგუბარში.
და ძუძუები მიუგავთ მაშას.
. . . . . . . . . . . . . . . . . . .
მათი სქესი ნავია თეთრი რკინისგან
. . . . . . . . . . . . . . . . . . .
მე რომ მქონოდა თერთმეტი სუ წავიდოდი . . . . .
მე ვღელდები
და დავფრინავ, როგორც პეპელა...

ტრისტან ტცარა.

დადა—ქალწული მიკრობია.
დადა—ცხოვრების გაძვირების წინააღმდეგია.
დადა—ანონიმური საზოგადოებაა იდეების ექპლოატაციისთვის.
დადას 391 პოზა აქვს და სხვა და სხვა ფერი
იმის მიხედვით, თუ როგორია სქესი პრეზინდენტის.
დადა სხვად იქცევა და იქავე იტყვის წინააღმდეგს
დადა ყვირის და იჭერს თევზს...
დადა—ქამელეონია ჩქარი და ანგარი გამოცვლისა
დადა—მომავლის წინაღმდეგ მიდის. დადა-მკვდარია და იდიოტი.
მაშ, გაუმარჯოს ისევ დადას, დადა—არ არის
ლიტერატურის შკოლა: დადა ბღავის...

ვენიამინ პერე.

ვენიამინ პერეს მემუარები.

დათვი სჭამდა დივანს
შესჭამა დივანი—დათვს მკერდი გადმოუარდა
გულიდან გამოვიდა ძროხა,
ძროხიდან დაიბადენ კატები.
კატებმა ააშენეს კიბე.
ძროხა ავიდა კიბეზე.
კატები ავიდენ კიბეზე.
ზევიდან კიდევ კიბე ჩამოტყდა
კიბე შეიქნა მსუქანი პოსტალიონი.
ძროხა ჩავარდა სისხლის სასამართლოში,
კატებმა იმღერეს სიმღერა მადლონზე
დანარჩენმა შეადგინეს გაზეთი ორსულ ქალებისთვის.

ტიციან ტაბიძე.

## სახელმწიფო დრამის თეატრი

ამ ჟამად რუსთაველის თეატრის დრამატიული დასი იმყოფება ბორჯომში მთელი შემადგენლობით. დასი ამზადებს მომავალ სეზონისთვის ბევრ ახალ პიესებს რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით. აქვე მუშაობენ მ. ქორელი, ალ. ახმეტელი და აკაკი ფალავა. სხვათა შორის დასი ამზადებს გიორგი ერისთავის პიესას „გაყრა“ და გაბრიელ სუნდუკიანცის „ხათაბალას“, აგრეთვე მომავალ სეზონის დასაწყისში წავა მოლიერის ერთი კომედია, რომელიც სთარგმნა კ. ანდრონიკაშვილმა.

თანამედროვე თარგმნილ პიესებიდან მზადდება: ვერფელის „ადამიანი სარკიდან“ თარგმანი პაოლო იაშვილის, "გაზი" გ. კაიზერის თარ. ვ. გაფრინდაშვილის, ტოლლერის „ადამიანი მასსა“ თარ. გრ. რობაქიძისა, „მწვანე ფრინველი“ თარ. შ. შარაშიძისა, ლევ ლუნც „ტრუბადურები“ თარ. ტიციან ტაბიძის. უმრავლესობა დეკორაციებისა დახატულია მხატვარ ვ. სიდამონ ერისთავისგან, ზოგ პიესებისთვის დეკორაციის დასაწერად მიწვეულია კირილ ზდანევიჩი და ირაკლი გამრეკელი. განზრახულია სეზონი პირველ ოქტომბრისთვის დაიწყოს, მანამდე დასი დარჩება ბორჯომში.

## ვახტანგ მჭედლიშვილის სტუდია.

მოსკოვიდან ტფილისში ჩამოვიდა მოსკოვის მეორე სახელმწიფო სამხატრო თეატრის სტუდიის რეჟისორი ვახტანგ მჭედლიშვილი. ვახტანგ მჭედლიშვილს მიზნად აქვს მოსკოვში დაარსოს ქართული სტუდია. ამ სტუდიაში ისწავლიან ის ახალგაზდები, რომელნიც სახელმწიფო ხარჯით გაგზავნილი არიან მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში; ამის გარდა ვახტანგ მჭედლიშვილს აზრად აქვს ტფილისიდან წაიყვანოს 15-მდე ახალგაზდები სპეციალურად ამ სტუდიისთვის. ამისთვის დანიშნულია გამოცდები ხელოვანთა სასახლეში. ვახტანგ მჭედლიშვილის აზრით ეს სტუდია არ შეუშლის ხელს ტფილისში არსებულ სტუდიას, რომელიც ახლა უნდა იქცეს სახელმწიფო სტუდიათ. ვახტანგ მჭედლიშვილს აზრათ აქვს იმ სტუდიაში მოამზადოს ოთხი პიესა: ერთი შექსპირის, მეორე ქართული კლასიკურ პერიოდის, ერთი თანამედროვე პიესა აგრეთვე იქნება სპეციალური კურსები იმპროვიზაციისა. ვახტანგ მჭედლიშვილს ამ საქმეში დახმარება და თანამშრომლობა აღუთქვეს მოსკოვის თეატრის ცნობილმა რეჟისორებმა და არტისტებმა.

აგრეთვე სტუდიასთან ახლო დამოკიდებულება ექნება ალექსანდრ სუმბათაშვილ იუჟინს და შეიძლება აგრეთვე ა. წუწუნავას, რომელიც აგრეთვე აპირებს დროებით მოსკოვში წასვლას.

ვალერი ბრიუსოვი

# ქალაქს

დითირამბი

შენ როგორც მეფე ბატონობ ბარზე.
ზეცა დასერე ცეცხლის ცხრილებით
დაუზოგველად შემოიგარსე
შენი საზღვარი ქარხნის მილებით.

მინის, აგურის და ფოლადისა,
გადახაზულო სინის რკალებით
ხარ ჯადოქარი სამარადისო
ადამანტიურ იდუმალებით.

როგორც დრაკონი უფრთო და მწყრალი
ჩასაფრებული, სდარაჯობ წლობით
დაუშრეტელი გაზი და წყალი,
რკინის ძარღვებში დაგიდის ხმობით.

შენი სტომაქი ხარბი, მშიერი
ჟამთა ნადავლით ვერ გამაძღარა,
მასში მრისხანებს ბოლმა ძლიერი
და სილატაკე ღრიალებს მარად.

ჰკუა ცბიერო! ავ მოსაზრებით
კოშკებით სივრცე შენ შემორკალე.
შენ საზეიმო დადგი ტაძრები,
სად მიეც ბინა წიგნებს და ქალებს.

შენ თვითონ იწვევ ულმობელ მტერებს.
შენ გამოიხმობ ურდოს თავნებას.
და შავ მიტინგზე გზავნი ქიმირებს:
შიმშილს, სიგიჟეს, ამპარტავნებას.

და როცა ბრძოლის სახლებში მოდის
კვლავ გარყვნილება ცეცხლის სალამით,
მაღალ ჰიქებში ხმაურობს ოდეს
ტკბილვნებიანი წუთების შხამი.

პირქუშ მონების მოღუნე მხრები,
რომ დაუდგრომელ მძიმე ხველებით
რატაციონის მძლე მანქანები
კვეთდენ მახვილებს მეტ გახელებით.

ცბიერო გველო ჯადოსან ცქერით!
ბრმა გაბრაზებით და წყრომით სავსე,
სიკვდილის დანა გიჟი იერით
შენ თვით ამართე საკუთარ თავზე.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

ემილ ვერხარნი

# მჭედელი

შარის პირათ სოფლის ბოლოს,
მაგარი და მხნე მჭედელი,
ვეზერთელა, მოღუშული,
მას შემდეგ რაც ბრაზით სავსე,
რკინას ადნობს ხარბი ურო
ის კომლიან დიდ ქურაზე
სჭედავს, მართავს იარაღებს,
სცემს ცხელ მადანს შეუპოვარს,
მუნჯი, მოხუცი მჭედელი,
დიდებული მოთმინებით.

და იციან სოფლელებში,
მის მეზობლად, რომ ცხოვრობენ,
შემნახველნი მრისხანების,
რად მიიღო მან ეს შრომა,
და რა ძალა აძლევს ნებას
შეაჩეროს მან კბილებით დაკივლება წყრომით სავსე!
ისინი კი ვინც სცხოვრობენ მინდორ-ველად
დამხარჯველნი უშედეგოთ, თხოვნის, სიტყვის
ხან მშფოთვარე—იჭვიანი,
შიშს მალავენ,
და უნდობელ ყურადღებით,
უცქერიან თვალებს—თვალნი იბირებენ მათ სიჩუმით.

სჭედავს, რეკავს ის მჭედელი
დღითი-დღე და წლიდან-წლამდე.
კრულვის მეხი მან ჩაჰყარა თვის ქურაში
და სიბრაზე ყრუ, მარადი,
მან სარდილმა, უენომ ჯართა,
იქ როს, მხურვალე ქურაში,
გადისროლა, სიმწარე და ყველა ხმები
დიდ, მომავალ აჯანყების.
რომ ჰქონოდათ მათ კრიალი ელვის, რომ მათ
მისცემოდათ გამტანობა ბასრ ფოლადის,

სდგას ის,
იჭვის გადამდები, უშიშარი,
და უცბად ანთებული ოქროს ცეცხლით,
სდგანან ალნი—ზღვა ცოცხალი გვირგვინების.
სცემს ის უროს გაქანებით
უდრეკელი, ჯან-ავსილი
სცემს ის უროს, თავისუფალს, მოელვარეს,
უროს, რომ ქმნის ლითონიდან
გამრჯვების იარაღებს,
გამარჯვების—ის რომ ხედავს წელიწა იქით.

უამრავია ბოროტება—იგი რომ ჰხედავს:
მშიერ გლახაკებს—საჩუქრად სიტყვა მარტოკა.
ბრმები, მეჯითად უძლვებიან წინ დავრდომილებს,
ყალბ მოციქულთა ყველა სიტყვა—მშრალი ნაღველი,
სიმხდალე დიდი—ყველა აზრში დაბადებული:
და სიმართლის წინ—პირობების სდგება კედელი,
ხელები მონის—მოწყალებას რომ არ ელიან,—
არც ქალაქებში,—არც იქ, სადაც სთვლემენ მინდვრები.
სოფლები—თითქოს მოთიბულნი სქელი უროთი,
ჯმუხ ტაძრებიდან ნამგლებათ რომ გადმოფენილან,
და მთელი ხალხი, შეჩვეული დიდ დამცირებას,
მუხლ მოდრეკილი, საკუთარის სიღარიბის წინ,
რომელმაც იცის შენანების ამოღება
მპყრობელი რკინის სისხლივით რომ იწვა წითლად,
ყოფნის უფლება—საკუთარი თავისუფლება
ყალბ კანონების ბნელ ციხეში გამოჭედილი;
სიხარულის მზე, და სინაზე მამაკაცური,
შეგინებულ ზნეობათა ცბიერ მცველთაგან,
და მოწამლული ღვთაებრივი და წმინდა წყარო,
რომელსაც ხარბათ ეწაფება კაცის გონება,
და ბოლოს ყველა ფიცისა ან მხილების შემდეგ
მაინც იგივე დაწყებიდან უკუნისამდე.
მჭედელს არ სჯერა დაპირებანი.
იგი გაჩუმდა, ხმა შეიკმინდა.
მას ჩუმად სჯერა, რომ გაიმარჯვებს
ან დააკვდება თავის იარაღს
და სიამაყე—გმირ მამაკაცის
მან შემოქალტა ნების კბილებით,
მას შეუძლია გაანგრიოს დაბრკოლებანი,
ერთის სურვილით—იმის სურვილს არა აქვს ზღვარი.
მას შეუძლიან შეჰქმნას კანონი
საუკუნეთა და ქვეყნებისთვის
და ხედავს კიდევ, და უსმენს კიდევ.
რომ იღვრებიან ცრემლით გულები,
აუშფოთებლად
მკაცრი მჭედელი
და სჯერა მედგარს, რომ მარად შურის
და განწირულ უსაზღვრო ტალღა,
დგება სხვა დროთვის,
დროს აზარმაცი მოოქროვილი,
რომ იარაღით ხელში უნდა ველოდეთ, როცა
გაჩნდება წამი დაბინდულ და ცივ ღამეებში.
რომ საჭიროა ჩაკვდეს შური უთანხმოების,
როდესაც დროშებს მთლად ხევს ქარი დავა ცილობის,
უსიტყვოთ უნდა დაკვირება, თუ როგორ მოდის
წამი დამეში ნელი-ნელ და თანდათახობით,
რომ სასწაული არ მოხდება არც აქ, არც ცაში,

# გასტრალიორი ჟონტოლი

იყო ერთი პერიოდი, როცა ივ. ბუნინი (იგი ეხლაც ემიგრანტია) ამთქნარებდა მოსკოვში კრებაზე და ამბობდა:

„Что сделать поехат что ли в Грузию“.

ეს კლასიკური ფრაზა, რომელიღაც პრაგის ემიგრანტულ ჟურნალშია დაბეჭდილი. ბუნინი არ ჩამოსულა საქართველოში, მხოლოდ ბევრმა გამვლელმა მაწანწალა მწერლებმა ჩამოიარეს საქართველოში, ერთ დროს, შეიძლება მართლა დიდი წერილის დაწერა ამ ჩამორჩენილ და გათახსირებულ ხალხზე, რომელნიც გამოექცენ თავიანთ სამშობლოს და სხვის კარზე მათხოვრობდენ. რასაკვირველია შეუძლებელია კეთილშობილების ძებნა იმ ხალხში, რომელიც მოღალატურად სტოვებს თავის ქვეყანას, მართლა გულუბრყვილობა იქნებოდა მათგან მოითხოვო პატიოსნება... მაგრამ წარმოუდგენელია მეტი ქამობა და სულიერი დაცემა, რომელსაც იჩენენ ზოგიერთი ასეთი მაწანწალები, როგორც ტერენტიევია და მანდელშტამი. ამ ჟამად ჩვენ გვაინტერესებს ო. მანდელშტამი. ჩვენ არ დავიწყებდით ამ მაწანწალა მათხოვარზე წერას, რომ თვითონ არ იძლეოდეს ამის საბუთს, ჰონორარისთვის ამ გლახაკს მოუნდომებია ერთხელკიდევ გამოიყენოს საქართველო, რომლის დაუპატიჟებელი სტუმარი ის შეიქნა 1920 წ.

მას დაუწერია წერილი „Огонек“-ში № 20 სადაც აწერილი აქვს თავისი მოგზაურობა უბრალო მკითხველისთვის გაუგებარი იქნება ის ქამობა, რომელსაც იჩენს მანდელშტამი ამ წერილში და ის გველური სისინი, რომელიც მოსჩანს ამ წერილში, თუ მას არ გაუკეთეთ კომანტარიები.

მე მინდა შევიტანო სიმართლე ამ უსინდისო ფილისტერის მოგონებაში. რადგან კარგად ვიცი ეს ამბავი.

1920 წელს აგვისტოში მე ვიყავი ბათომში. ერთხელ ზღვის ნაპირზე ბანაობის დროს მე დამეწია ბათომის ებრაელთა კალონიის ეროვნული საბჭო მთელი შემადგენლობით (მათ გაეგოთ რომ მე ვიყავი საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი) და მთხოვეს მეშუამდგომლა ვისთანაც იყო საჭირო, რომ გამენთავისუფლებია პოეტი მანდელშტამი, რომელიც ყირიმიდან მომავალი დაეტუსაღებიათ ბათომში. მე გამეგონა მანდელშტამის სახელი... და როგორც პოეტმა მოვალეობათ მივიჩნიე მისი ბედის შემსუბუქება.

„როგორ შეიძლება ეს კარგი პოეტი იყოს, მე ვნახე ის გუშინ, რაღაც პროტოპლაზმაა და გატრუსულ თავვს აგავსო“.

მეუბნებოდა ბათომის გენერალ-გუბერნატორი ბ. ჩხიკვიშვილი. მე ეხლა ვხდები, რომ მას უფრო კარგი შეტყობა ცოდნია ადამიანების. მაგრამ როგორც იყო ეს ჩემი პასუხისმგებლობით ის გამოუშვეს, იქაურმა ეროვნულმა საბჭომ ამ საქმეში შემდეგ დაიხმარა გ. აიოლლოც. როგორც მახსოვს, ბოლო მანდელშტამი იქაურ ებრაელებში ფულებსაც აგროვებდა სტამბოლში წასასვლელად, მაგრამ მისი კომპატრიოტები, არც ისე ბედოვლათი აღმოჩნდენ, როგორც მას ეგონა, მან მოასწრო — მხოლოდ ერთი რწყეული ტანისამოსი წაეგლიჯა ვიღაცასთვის. მე შემდეგ ტფილისში წამოვედი და ერთი კვირის შემდეგ მანდელშტამიც იმედ გაცრუებული, რომ ვერ წავიდა ევროპაში ჩამომყვა უკან.

ერთგვარი კაცმოყვარეობა ითხოვდა იმის დახმარებას (ეს გრძნობა ზედმეტი აქვს პაოლო იაშვილს) და ტფილისში მან ცოტა სული მოითქვა. ამას ემატებოდა ისიც, რა ფოთიდან იმავე დროს იმავე ყირიმიდან ჩამოვიდა პოეტი ილია ერემბრუგი (პაოლო იაშვილის მეგობარი პარიზიდან). ერემბურგს ეს შეხვედრა აწერილი აქვს. წიგში „ხულიო ხურენიტო“ და აგრეთვე ბერლინის „Русская книга-ში. ერთი თვის შემდეგ მანდელშტამი პირობის ამებრ უნდა წასულიყო რუსეთში. ვის გამოექცა ყირიმიდან მანდელშტამი, თვითონ ამბობს, თითქო გენერალ ვრანგელს. მაგრამ ეს ტყუილია გენერალ ვრანგელის დროსვე ის მშვენივრად ცხოვრობდა ყირიმში, მაქსიმილიან ვალოშინიდან ხელ დაფარებული, მაგრამ ის გამოექცა, როგორც მაშინ ამბობდა მობილიზაციას: მას ორივე მხარის ეშინოდა: ბოლშევიკებისაც და ვრანგელისაც: ეხლა კი გამომდგარა ეს ვაჟბატონი და თავი ბოლშევიზმისთვის წამებულად გამოყავს (მხოლოდ მანდელშტამს შეუძლია ასეთი სიცრუე)...

ერთ თვეში ძნელია კაცის ცნობა, ისიც როდესაც თვითონ სტუმარის როლში თავაზიანია. ალბად ეს იყო მიზეზი, რომ მე მის წასვლის დროს კახეთში ვიყავი და პაოლო იაშვილს ჩემ ოთახიდან გამოეტანა საზამთრო პალტო, თავისი ერენბურგისთვის მიეცა და ჩემი მანდელშტამისთვის.

პირველი ვიზიტი ამით გათავდა... ექვსი თუ შვიდი თვის შემდეგ, როცა საქართველოს გასაბჭოება მოხდა ის კიდევ ჩამოდის ტფილისში. თვითონ გვიამბო ასეთი სცენა: მოსკოვის ქართულ მისიაში წარუდგა მიხა ცხაკაიას და აჩვენა რაღაც მანდატი, რომ ერევანში მოაქვს მედიკამენტები რაღაც საზოგადოებიდან, მიხა ცხაკაიას ეს მანდატი სასაცილოთ ეჩვენა: ასეთი მანდატით თუ გინდა ინდოეთში ჩახვალ, თან უნდა მიუმატო, რომ აგროვებ მწერების კოლექციასო...

მაგრამ ასე თუ ისე, ის მაინც მოყვა ტფილისში. პირველ წასვლის დროს, მას უკვე გამოეჩინა ქამობა ამის შესახებ ჩვენ გვითხრა ელსმენრმა. ჩამოსვლის დროს (თან ჩამოიყვანა ცოლიც. პაოლო იაშვილმა აცნობა მას მისი უზნეობა, მაგრამ მას უშველა ცრემლებმა, და აგრეთვე იმან რომ თან ახლდა თავისი ცოლი.

ამ დღის შემდეგ იწყება მისი წანწალი დაწესებულებებში, სად გინდათ ის, რომ არ გენახათ: პირდაპირ მარადიორივით ეცემოდა ხალხს ქუჩაში და პოეტის სახელით სთხოვდა ფულს: საქმე ჰქონდა გაჰივრებული: არჩილ მიქაძეს, ლევან ღოღობერიძეს, დავით კანდელაკს და სიმონ ავალიანს: მაგრამ მანდელშტამი, რაღაც ტროგლოდიტივით ნთქავდა ყველაფერს და მაინც ფეხშიშველი დადიოდა. თან ითხოვდა, რომ მისთვის პატივი ეცათ, როგორც ერთ დიდ პოეტისთვის, ქართველებმა სხვანაირად მიიღეს ბალმონტიო, ჩვენ გვეცინებოდა ასეთ პრეტენზიებზე, პაოლო იაშვილი ამასხარებდა.

მხოლოდ გრიგოლ რობაქიძეს ად ვალ. გაფრინდაშვილს სერიოზულად აწუხებდათ ასეთი უტიფრობა, პირველი მას არ ელაპარაკებოდა, და განზრახ ერიდებოდა (აგრეთვე ფიზიკურად ვერ იტანს მას ვიაჩესლავ ივანოვი, მისივე თქმით) მეორემ საკმაოდ ამხილამისი ხლესტაკოვის როლი და ჩვენი ხათრით შეიკავა თავი, რომ ისეთი პასუხი გაეცა როგორც ტერენტიევს, რომელსაც ეს სილა ჯერაც ვერ მოუნელებია.

მანდელშტამის უტიფრობამ იქამდე მიაღწია, რომ ის დაესაკუთრა რუსის მწერლების კავშირის ოთახს ხელოვანთა სასახლეში და ორ დღეში ღორის ბუნაგად აქცია. რუსი მწერლების პროტესტისა და განათლების კომისარიატის მოწერილობის გამო კოტე მაყაშვილი იძულებული იყო მანდელშტაბი გამოეგდო იქედან და ამის შემდეგ ის ბედის საცდელად მიემგზავრება ბათომში.

ამის შემდეგ მანდელშტამი წავიდა ბათომში, იქაც ქუჩიდან, ქუჩაზე გადადიოდენ, როცა მას დაინახავდენ და შემდეგ გაუდგა გზას ადესისკენ (მისი ნამდვილი სამშობლო ქალაქია). წასვლის წინ, ბათომის გაზეთ „Час“-ში დაუტოვებია წერილი, რომელიც მხოლოდ „ცისფერ ყანწების“ ლანძღვას შეიცავს. ჩვენ ამ წერილზე არცკი გაგვიცია პასუხი, განა იყო ის ღირსი პასუხის, კაცი, რომელიც მხოლოდ საცოდაობის გრძნობის გამო გადარჩა ბევრჯერ ნამდვილ პასუხს. როცა ამ ჯონტოლმა ვერაფერი დააკლო ქართველ პოეტებს დღეს სხვანაირად მობრუნებებულა და დაუწყია.

რუსული „ველიკო დერჟავნიკობა“: „Огонек“-ში სწერს საქართველოზე: „Маленькое независимое Государство, выросшее на чужой крови, хотело быть безкровным. Оно надеялось чистеньким и благополучным воити в истрию, сжатое грозными силами, стать чем то вроде новой Швейцарии, нейтральным от рождения „невиным клочком земли“.

ვისი სახელით ლაპარაკობს მანდელშტამი? განა მას დაავიწყდა რომ თვითონ ებრაელია და ძალად რუსობს?

ჩვენ გვიკვირდა, როცა ველიჩკოვები მედიდურობდენ, მაგრამ ამ საწყალ მანდელშტამს, რატომ რა ახსოვს თავისი ერის ბედი. ნუთუ საჭიროა დღეს რუსეთში, რომ მანდელშტამს ასეთი სიტყვები აწერინონ... საქართველოს არავის სისხლით, არ არის გაზრდილი, ეს ყველამ იცის, მაგრამ შენ კი მანდელშტამო სისხლად გექცევა, ის რაც საქართველოდან მიგიღია.

ასეთი გაიძვერა მაწანწალები სახელს გუფუჰებენ რუსულ მწერლობას საქართველოში, მაგრამ მანდელშტამს ვინ კითხავს რუსულ პოეზიას?: მალე ალბად „Огонек“-იც გაიგებს მის ხლესტაკოვობას, ჩვენ კი მანდელშტამს და ტერენტიევს სხვანაირად მოვთხოვთ პასუხს... ჩვენ გვგონია რომ მთები ხვდებიან ერთმანეთს და მაგისთანა თავგს ყველგან მოხვდები გასასრესად... რასაკვირველია მარალურად.

ტ. ტ.

მაგრამ უსიტყვოთ, გამარჯვება ხვედრათ ერგებათ,
(ო, საშინელო ძალა, რომლის ნათელი ხხივი)
ანთებულია ბედის წერის ამაყ სახეზე,
დადგება წამი და უეცრად ამოვარდება
ბნელით, სისხლიდან სულ ახალი ქვეყნიერება,
და სიხარული ამოტეხავს, როგორც ყვავილი,
გახდება მიზნად სიცოცხლის და მაღალ ოცნების,
გამოიცვლება ყველიფერი, მზე გაიმარჯვებს.
და ნათლად ჰხედავს საკუთარის თვალით მჭედელი;
თითქოს მოვიდა დღე ახალი, ახალ სინათლით:
რომლის თანხმობა მისცემს ერებს მუდმივ სშვიდობას
და ცხოვრებასაც მიეცემა ახალი სახე.
აღარ იქნება ხალხში შური გესლიანობა,
მიეფარება სამუდამოთ მგლური ცხოვრება.
ჩამოეშვება სიყვარული, რომლის მირონი
მოეფინება მას, ვინც ბედმა არ გაახარა.
შეუნგრევს გვერდებს გაბერილ და გატენილ სკივრებს,
(სადაც უმიზნოდ ინახება და სძინავს ოქროს)
დღე სიმართლისა; სასახლენი და ციხეები
და სარდაფები, და ბანკები დაინგრევიან
და გაქრებიან შენობები ამპარტავნობის
და ხალხიც—მხოლოდ მაქებარნი საკუთრივის
დაარიგებენ ძმათა შორის ცოცხალ საუნჯეთ
და განათდება ცხოვრება და ყოფა ერების
სიტყვები (წიგმთაც რომ არ იცის ჯერ ეს სიტყვები)
გამოარკვევენ და ყველაფერს მისცემენ ახსნას,
რაც ახლა არის ბუნდოვანი, გაურკვეველი.
ერთი ხვედრი სუსტს და ძლიერს დააკავშირებს
დე იდუმალმა შინაარსმა ნივთიერების
იქნება მოქვცეს შინაარსი ღვთაებრივი.

---

დღითი დღე და წლიდან-წლამდე
სჭედავს, რეკავს, სდუღს, მჭედელი.
დაშორებით, სიჩუმეში.
წითელ ქურას დაღუნვია,
საუკუნეთ სიღრმეს უცქერს,
დამათი აზით ანთებული,
მუნჯი, მოხუცი მჭედელი
დიდებული მოთმინებით.

პაოლო იაშვილი.

P. S. ამ ლექსის აწყობის დროს დაიკარგა დედანი, ამიტომ ლექსის გასწორება შეიქნა შეუძლებელი.

# ქრონიკა

**ემილ ვერჰარნი.** პაოლო იაშვილი მანგლისში ამზადებს სახელმწიფო გამომცემლობაში გამოსაცემად ემალ ვერჰარნის სრულ თარგმანს. პირველ წიგნად გამოცემული იქნება ლირიკა: მეორე წიგნში შევლენ პოემები და პიესები.

**ვლ. მიაკოვსკის „მისტერია ბუფფი“** სახალხო განათლების მთავარ სახელოვნო კომიტეტმა საერთო რეპერტუარში შეიძინა ტიციან ტაბიძის თარგმანი ვლ. მიაკოვსკის პიესა „მისტერია ბუფფ“.

**პროლეტარული პოეტები პროვინციაში.** სახალხო განათლების კომისარიიტი თავის ხარჯზე აგზავნის პროვინციაში პროლეტკულტის ქართულ სექციას სანდრო ეულის ხელმძღვანელობით: საღამოები გაიმართება უმთავრესათ დასავლეთ საქარრველოში.

**დები მესხიშვილები.** სექტემბერში რუსეთიდან ჩამოვლენ ტფილისში საგასტროლოდ და შეიძლება დარჩენ კიდეც ერთი წლით. დები ნინა და ვარია მესხიშვილები (ლადო მესხიშვილის ქალიშვილები).

ორივე დები გამოვლენ დრამატულ თეატრში. რუსეთის პრესსა დიდი აღფრთოვანებით ხვდება მათ გასტროლებს კიევში და ხარკოვში.

**მონოგრაფია ივანე მაჩაბელზე.** ტიციან ტაბიძე და გიორგი ლეონიძე ამზადებენ მონოგრაფიას ვანო მაჩაბელზე. წიგნის გამოცემა იკისრა „კრასნაია კნიგამ“.

**არსენა ჯორჯიაშვილის ძეგლი.** შესდგა კომიტეტი არსენ ჯორჯიაშვილისთვის ძეგლის დადგმის: კომიტეტში შედიან: არჩილ მიქაძე, გენტორ რუხაძე და ვაინერი.

**მეიერხოლდის ჩამოსვლა.** ტფილისში ჩამოვა მოსკოვის სახელმწიფო თეატრის რეჟისორი ვს. მეიერხოლდი. მეიერხოლდმა ამას წინად გადაიხადა 25 წლის იუბილე. ტფილისში ის დადგამს ორ წარმოდგენას და წაიკითხავს ლექციებს.

**შალვა დადიანი კახეთში.** კახეთიდან დაბრუნდა რეჟისორი შალვა დადიანი. კახეთში ის მიწვეული იყო საიუბელეიოდ. უბილე, მრავალ ადგილს იქნა მოწყობილი და დიდი ზეიმით ჩატარდა.

**სახელმწიფო ოპერა.**

სახელმწიფო ოპერის დასში ახალი არტისტების მოსაწვევად „თეომ“ რუსეთში გააგზავნა ს. ევლახიშვილი. ჯერ საბოლაოდ არ არის გამორკვეული ვის ჩამოიყვანს ევლახიშვილი ტფილისში. ამავე მიზნით კისლოვოდსკში იყო წასული თეოს გამგე ლადო სვიმონიშვილი როგორც ირკვევა ოპერის რეჟისორათ მოწვეული იქნება პეტროგრადის სახელმწიფო თეატრის რეჟისორი რაპოპორტი. გამზრახულია აგრეთვე იტალიიდან ხუთი არტისტის მოწვევა, ამის შესახებ სწარმოებს მოლაპარაკება, რომელიც ამ დღეებში გათავდება.

ოპერის სეზონიც განზრახულია პირველ ოქტომბრისთვის დაიწყოს.

# უცხოეთის ქრონიკა

## საფრანგეთი.

**რენე მარან.** რომან „ბატუალას“ ავტორმა ზანგმა რენე მარანმა დაბეჭდა ფრანგულად მეორე წიგნი: კრებული სტანსების ამ სათაურით: „მშვიდი სახე“: წიგნი უმთავრესად ამტკიცებს რენე მარანის ნიჭს, როგორც ლირიკოსისას.

**წიგნი ლათინურ კვარტალზე.** ფრანსის კარკომ გამოსცა წიგნი პარიზზე შემდეგი სათაურით: „გზა-ჯვარედინზე“ წიგნი უმთავრესად აწერილია ლათინური კვარტალი. კარკო ნახევრად ირონიულად, და ნახევრად მელანქოლიურად აწერს პარიზის ღამის ცხოვრებას.

**ლუი გემონი.** ლუი გემონის რომანი „მარია შაპდელენ“ გაიყიდა 250 ათასი ცალი. წიგნი სულ სამი წელია რაც იცემა. ფრანგული პრესსა ანიშნავს რომ ასე არც ერთი ფრანგული წიგნი არ გავრცელებულა.

**კამილ მოკლერი.** ცნობილმა ფრანგმა კრიტიკოსმა კამილ მოკლერმა გამოუშვა წიგნი: „ლიტერატურული დიდება და მონობა“. ეს წიგნი უმთავრესად შეიცავს მემუარებს. კამილ მოკლერი აწერს ეპოქას 1890—900 წლამდე ე. ი. სიმვილიზმის უკანასკნელ მიღწევებს. წიგნი დაწერილია ბრწყინვალე ფრანგული სტილით და ნამდვილი ენტუზიაზმით. წიგნში მოცემულია პორტრეტები სიმვილისტი პოეტების და მხატვრების: აწერილია უკანასკნელი დღეები პოლ ვერლენისა, სამბამათები სტეფან მალლარმეს, ოსკარ უალდი პარიზში. ახალგაზრდა პოეტების კაფე, სადილი მარრესთან და ბევრი სხვა. კრიტიკა ანიშნავს, რომ განსაკუთრებით ავტორს მომარჯვებია სტეფან მალლარმეს პორტრეტი.

**ანრი გილაბო.** ანრი გილაბო ადრონდელი კომუნისტია და კომუნისტურ ინტერნაციონალის წევრი. ახლახან მან გამოუშვა წიგნი ლექსების „წითელი კრემლი“. საინტერესოა ამ ლექსებში, როგორ ესმის ფრანგ პოეტს რუსეთის რევოლუცია. წიგნი დაწერილია შეგნებულად რუსთციზებით, აწერილია ლენინი, აბელ ენუქიძე და სხვა. რუსეთის კრიტიკა დიდი ყურადღებით ეპყრობა ამ წიგნს, თუმცა მაში ნამდვილი პოეზია ძალიან ნაკლებია.

**რადიგე 17 წლის რომანისტი.** რაიმონდ რადიგემ დასწერა რომანი „ემმაკით შეპყრობილი“. წიგნის სარეკლამო ლენტაზე მიწერილია რომ რაიმონ რადიგე არის 17 წლის და თანვე დართული აქვს ახალგაზრდა ავტორის პორტრეტი. ფრანგული კრიტიკა აღნიშნავს, რომ თუმცა ეს რომანი არ არის უსათუოდ გენიალური, მაგრამ მაინც გასაკვირია რომ ის არის დაწერილნ ასე ახალგაზრდა ავტორისგან.

**ვ. მარგერიტ.** ვ. მარგერიტმა დასწერა ახალი რომანი „უცოლო ქალიშვილი“, („La Qarqonne“) ფრანგული გაზეთები აღნიშნავენ, რომ ვიკტორ მარგერიტის ამ რომანს აქვს უჩვეულო გამარჯვება. ორ თვეში რომანის ტირაჟი ავიდა 100 ათასს ეკზემპლიარამდე იანვარში ეს ტირაჟი ავიდა 225 ათასამდე. რაც უჩვეულოთ მოვლება საფრანგეთშიც კი. გავცელდა ხმები, რომ ავტორს მისცემენ სასამართლოში რომანში შერეულ პორნოგრაფიისთვის, მაგრამ ამ ხმებმა მხოლოდ მოუმატეს ინტერესი წიგნს.

## ინგლისი.

**დ. ჩეტერტერონი.** ლონდონში გამოვიდა წიგნი პატრიკ ბრეიბრუკის „ჯონ ჩეტერტინი“ წიგნში მოცემულია დახასიათება ამ ორიგინალურ და ფანტასტიურ პოეტისა.

**ასკვიტის ცოლის წიგნი.** ინგლისის ყოფილ პრემიერის ასკვიტის ცოლმა მარპო ასკვიტმა გამოუშვა წიგნი „ჩემი ავტობიოგრაფია“ წიგნი შეიცავს მრავალ ისტორიულ მასალებს.

**ნორტკლიფფი.** „ტაიმსის“ გამომცემლის ნორტკლფფის სიკვდილისგან სამი თვის განმავლობაში გამოვიდა ექვსი ტომი მისი ბიოგრაფიის, სხვა და სხვა პირებისგან დაწერილი.

**გეორგიანელი მოთხრობები.** მსგავსად იმისა, როგორც წინად ლონდონში გამოვიდა „გორგიანელი პოეტები“, (პოეტები რომელიც სწერდენ მეფე გიორგი V დროს) გამოვიდა ახალი წიგნი გეორგიანელი მოთხრობები. ინგლისის კრიტიკა აღნიშნავს, რომ კრემლში დაბეჭდილია ამ დროინდელ პროზის შედევრები.

**„მატუალა“ აკრძალვა ამერიკაში.** ამერიკაში აიკრძალა ზანგი მწერლის რენე მორანის რომანი „ბატუალა“ ავტორს ბრალს სდებენ უზნეობაში.

## გ ე რ მ ა ნ ი ა

**გერმან ზუდერმანის ავტობიოგრაფია.** გერმან ზუდერმანმა დაბეჭდა პირველი ტომი თავის ავტობიოგრაფია ასეთი სათაურით: „წიგნი ჩემი ახალგაზრდობის სურათებისა“. წიგნში აწერილია ახალგაზრდობა ზუდერმანის გატარებელი აღმოსავლეთ პრუსიაში, შემდეგ გიმნაზიის წლეები კონის მერგში, სტუდენტობა ბერლინში და პირველი ლიტერატურული გამოსვლა.

**სტეფან ცვაიგ:** სტეფან ცვაიგმა დასწერა მოთხრობა-ლეგენდა ძველ ინდიურ ცნობებიდან ასეთ სათაურით: „მარადი ძმის თვალები“.

**კაზიმირ ედშმიდი.** ექსპრესიონისტმა კაზიმირ ედჰმიდმა რომელიც ამდენხანს ცნობილია ექსპრესიოზისტული პროზით დასწერა წიგნი ლექსების: „ვდგევარ სინათლით გაბრწყინებული“. გერმანელი კრიტიკა ანიშნავს, რომ წიგნი მოკლებულია გულწრფელობას, ლექსები გაკეთებულის შდაბეჭდილოებას სტოვებენ და პრეტენზია „ევროპის მაშტაბის“ კიდევ გადადის მანიაკომაში.

**მემარცხენე ექსპრესიონისტები.** გამოვიდა კრებული მემარცხენე ექსპრესიონისტებისა „Der Sturm“ წიგნი თითქმის ავსებულია კრებულის რედაქტორის გერვარტ ვალდენის გძელი ტრაგედიებით.

**დოსტოევსკი და გიოტე.** ექსპრესიონისტების ჟურნალში „ცეცხლის მხედარი“ დაბეჭდილია წერილი ალფრედ დებლინის, სადაც დახასიათები არიან გიოტე და დოსტოევსკი და როგორც პოლიარული შემოქმედების დასაწყისები.

**კანცლერების მემუარები.** გერმანიაში ძალიან გავრცელებულია მემუარების ლიტერატურა. განსაკუთრებით

ბევრი იწერება ომზე და უკანასკნელი ამბებზე. სხვათა შორის საინტერესო არის სამი კანცლერის მემუარები: გილვეგის, მიხაელისა და გერტლინგის (უკანასკნელზე სწერს მისი შვილი).

**გერმან ნოლ.** ჰიდელბერგის ფილოსოფოსმა ჰერმამ ნოლმა გამოუშვა საინტერესო გამოკვლევა „სტილი და მსოფლიო მხედველობა".

**რომანი გიოტეს ცხოვრებიდან.** ალბერტ ტერტინიმ დასწერა წიგნი გიოტეს ცხოვრებიდან" გერმანული კრიტიტიკა ანიშნავს, რომ ავსტრიის ლიტერატურა ბოლო ხანებში არ მოუცია ასეთი შედევრი. წიგნში აწერილია გიოტეს მოგზაურობა იტალიაში და გათავებულია ვაიმარის პერიოდით,

**გეორგ კაიზერის ახალი პიესა.** გერმანელმა ექსპრესიონისტმა გეორგ კაიზერმა დასწერა ახალი პიესა „გაქცევა ვენეციაში". პიესაში გამოყვანილია ისტორიული პირები: ალფრეტ და მიუსსე და ჟორჟზანდი. პიესაში აღებულია ის მომენტი, როცა მიუსსე გაიქცა ვენეციაში, და როგორ ჩაყვა თან ჟორჟზანდ. პიესას აქვს უფრო კომედიის ხასიათი. კრიტიკა ნიშნავს რომ ეს პიესა კაიზერის დაწერილია უფრო მსუბუქად ვინემ სხვა მისი პიესები.

**მარია რილკე.** რაინერ მარია რილკემ გამოუშვა ახალი წიგნი ლექსების „სონეტი ორფეოსს"

**ჰ. ჰომფასტალ.** ჰ. ჰომფასტალმა დასწერა ახალი წიგნი „ზალცბურგის მსოფლიო თეატრი".

რედაქტორი:
სარედაქციო კოლეგია.

# განცხადება.

**ზაჰესის მუშაობისათვის საჭიროა ძაძვის და ფიჭვის შემდეგი ზომის მასალა:**

1) ძელები, სიგრძით 12 ადლი, სისხო-სიგანით სხვადასხვა ზომის სულ 2800 ღერამდე

2) ფიცარი—სხვადახხვა ზომის სიგრძით 12 ადლი, სულ 3173 ღერი

3) ფინები სხვადასხვა ზომის, სიგრძით 12 ადლი, სულ 1350 ღერი

4) ნაგვერდული, სიგრძით 12 ადლი, სიგანით 5 გოჯი, სულ 3000 ღერი

5) შუაზე დახერხილი მორი (пластины), სიგრხით 12 ადლი სხვადასხვა ზომის, 250 ღერი.

6) რგვალი ფიჭვის—ნაძვის მორები ვიწრო თავში 3 გოჯიდან 7 გოჯამდი, სულ 1300 ღერი.

აღნიშნული მასალა უნდა იყოს ახალი ხის, სადი, უჭიანო, არა ნაფუტარი, არა ხვეული, არა ნაშურიანი, სწორი და სწორ ძაფიანი.

ნაჩვენები მასალა შეიძლება იქნეს დადგმული ან მთლად ან ნაწილობრივ. ზომების შესახებ დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება ზაჰესის სამმართველოს სამასალო ნაწილში—ალმასკომის შენობა ოთხი № 12. ყოველ დღე, დღის 2 საათამდე.

აღნიშნული მასალის გასაცემად ზაჰესის სამმართველო ნიშნავს 25 ამა აგვისტოს, 12 საათზე შეჯიბრებას და მსურველმა უნდა წარმოადგინოს წერილობითი დახურული განცხადება, რემელშიაც უნდა იქნეს აღნუსხული როგორც მასალის რაოდენობა, ისე მათი ზომა და ღირებულება ან ფრანკო ვაგონი სად. ავჭალ ან საწყობი ზემო-ავჭალაში ჩაბარებით

შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა შემოიტანოს ზაჰესის სალაროში წინდაწინ 5 პროც. საწინდრის სახით იმ მასალის ღირებულებისა, რომლის აღებაც შეჯიბრებაში მონაწილეს სურს.

ფულის შეტანის ქვითარი უნდა იქნეს დართული განცხადებაზე. თუ შეკვეთა არ მიეცა, შემომტანს დაუყონებლივ დაუბრუნდება შემოტანილი თანხა.

განცხადების შემოტანის უკანასკნელი ვადა არის 25 აგვისტო დღის 12 საათი.

ზაჰესის სამუშაოთა უფროსი, ინჟენერი **ჰიჰინაძე**.

# განცხადება

ზემო ავჭალის ჰიდრო ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო ამით აცხადებს, რომ ა. წ. 5 სექტემბერს მის მიერ დანიშნულია შეჯიბრება ერთ სართულიანი ყავრით დახურული სახლის იჯარით აღების შესახებ. სახლი იქნება აგებული ნამტვრევი ქვისაგან და შემდეგი ზომის გეგმაში 11-ჯერ 20, სულ დაახლოებით 140 კუბ. საჟ. მასალები იქნება „ზაჰესის", ხელსაწყოები კი მოიჯარადრის. სამუშაო შესრულებული უნდა იქნეს ერთ თვე ნახევარში.

იმ პირებმა, რომლებსაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუშაო, უნდა შემოიტანონ ამის შესახებ წერილობითი განცხადება დაწესებული ნიმუშის ბლანკზე წარწერით: „ზაჰესი"-ს სამუშაოთა უფროსს ა.წ. 5 სექტემბრის შეჯიბრებისათვის. ამავე დღესვე გაიხსნება პაკეტები. ფასები აღნიშნული უნდა იქნეს ჩერვონეცის მანეთებში. ფულის გადახდა იწარმოებს საგადასახადო ქვითარის შედგენის დღეს ამიერ კავკასიის ფულის ნიშნებით თანახმად ტფილისის სავალიუტო ბირჟის კურსისა.

განცხადებასთან დართული უნდა იქნეს ქვითარი ზაჰესკომის სალაროში საიჯარო თანხის 5% შეტანის შესახებ.

საწინდარი უძრავი ქონებისა და სხვა ამგვარის სახით მხედველობაში არ იქნები მიღებული და საწინდარის შემოტანისაგან არვინ არ განთავისუფლდება.

საწინდარი იმ პირების ან ორგანიზაციების, რომლებიც აიღებენ სამუშაოს, გადიდებულ იქნება საერთო ჯამის 10%-დი პირველი მისახებ თანხებიდან 10%-ის დაჭერით და დაბინებულ იქნება სამუშაოს შესრულების შემდეგ.

ზაესკომი იტოვებს უფლებას გასცეს სამუშაო არა უმცირეს ფასებშიაც, მიიღებს რა მხედველობაში მოიჯარადრის წინანდელ მოღვაწეობას და მის გამოცდილებას. ვრცელი პირობების და ნახაზების გაცნობა შეიძლება ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში ყოველივე დღის 10—12 საათამდე. ქ. ტფილისი, ლ. დუმბაძის ქუჩა, სახლი № 3 იქიდანვე გაიცემა დაწერებული ნიმუში ბლანკებისა განცხადებისათვის.

ზაჰესის სამუშაოთა უფროსის თანაშემწე **გ. კიკნაძე.**

# ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზათა
# გამგეობა

აით აცხადებს, რომ ა. წ. 5 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ამ.-კავ. რკ. გზ, გამგეობის ბინაზე (ვაგზლის ქუჩა № 1) დანიშნულია წერილობითი საჯარო ვაჭრობა ერთი წლის ვადით იჯარით გაცემაზე:

**ვაგონ-რესტორანების** №№ 933 და 912 (მოიჯარადრე—ცხომელიძესი და მაჯანაშვილისა).

**ვაგონ-ბუფეტის,** რომელიც მოძრაობს №№ 3 | 4 და 7 | 8 მატარებელთან, ერთად,—ცივი საჭმელებით (მოიჯარადრეები—ჩახუნაშვილი, ძიძიგური, თოდუა და მუჯირი).

**1 კლასის ბუფეტების** შემდეგ სადგურებზე: ფოთი—სად ფოთი—ნავთსადგური, სუფსა, რიონი, ქუთაისი, შორაპანი, მოლითი, ბორჯომი, თელავი, კარენახი, წნორის-წყალი, სანაინი, ბაგალი, ეჩმიაძინი, საგირი, სურახანი, იაშმა, კუსარ-ჩაი.

**სავაჭრო კარვების** შემდეგ სადგურებზე:

აბაშა (კიკნაძის შენობა), შორაპანი, მუხრანი (ხარებავას შენობა), წალვერი, მუკუზანი, შაგალი, კარაკლისი, ალექსანდროპოლი, კარაბურუნი, საგირი, აჯიკაბული, სურახანი, კუსარ-ჩაი.

**საპირფარეშოების** შემდე სადგურებზე: ლანჩხუთი, საჩხერი, გორი, სანაინი, კარაკლისი, გუბურში, ერივანი, ნახიჩევანი, ხაჩმასი და ნატანები.

**შემნახველი კამერის** სად. ტფილისში.

**შკაფების** შინა-მრეწველობის საგნებით ვაჭრობისათვის: სადგურები—ბაქო 1 და საბუნჩი.

ის პირები, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საჯარო ვაჭრობაში, თავისი განცხადებები ლაბექდილ კონვერტებში ან უნდა ჩაგდონ სპეციალურათ ამისთვის საბჭოს დარბაზის კარებთან გამოკიდული ყუთში, ან გამოგზავნონ ასეთები წინდაწინ ფოსტით. კონვერტებზე, რომლებიც მოტანილი იქნება პირადათ ან ფოსტით გამოგზავნილი, უნდა ეწეროს: „ამ.-კავ. რ. გზ. სამმართველოს, ბუფეტის, კარავების და სხვა საჯარო ვაქრობისათვის". განცხადებაში კი აღნიშნული უნდა იყოს, სახელდობრ, რის აღება სურს იჯირათ მომწერ და როგორია მის მიერ წინადადებული წლიური ფასი მშვიდობიან დროს მანეთის ანგარიშით.

**განცხადებას თან უნდა დაერთვას:**

1) ქვითარი ბეს შეტანის შესახებ, რომელიც უნდა შეადგენდეს წინადადებულ ფასის არა ნაკლებ 10 პროც. რამოდენიმე სავაჭროს აღების მსურველებმა უნდა შემოიტანონ ცალკე განცხადებები აღნიშნულ წესით და წარმოდგენილ საიჯარო ფასი ცალკე ბეს შეტანით, რომელიც ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდდა შეადგენდეს საიჯარო ფასის არა ნაკლებ 10 პროც.-სა. 2) შემოტანილ განცხადებებზე თანდართული უნდი იქნეს საღერბო გადასახადის ნიშნები.

იჯარით გაცემის დროს სამმართველო იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებულ ფასებით, არამედ რკინის-გზის მეურნეობის ინტერესებიდან გამომდინარე სხვა მოსაზრებითაც.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 12—2 საათამდე, გარდა უქმე დღეებისა (ტფილისი ვაგზლის ქუჩა № 1, ოთახი № 46.)

# არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლის დამდგმელი
# კომისია
# აცხადებს
## კონკურსს მეგლის პროექტზე

პირობები: სრული თავის უფლება მეგლის ტემის გაგებისას ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იქნეს ა. წ. 5 სექტემბერ პროექტი უნდა იყოს არსებული სკულპტურულ მოდელით და. ნახაზით.

პირველი პრემია პროექტისთვის 15 ჩერვონეცი მეორე 10 ჩერვონეცი

პროექტი უნდა იყოს წარმოდგენილი ც. ა. კის საქმეთა მართველ კომისიაში.

# საქართველოს ს. ს. რ. სახალხო
# ბანკის
## საიპოთეკო განყოფილებები

ამით უცხადებენ იმ პირთ, რომლებმაც შემოიტანეს განცხადება საანგარიშო ფურცლების წარმოდგენით შეღავათის მიცემისა და ანგარიშის დამზადების შესახებ მათ მიერ ყოფილი სადილ-მამულო ბანკებს და ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებული მამულების სავადო ვალის გადასახდელად, რომ

უკანასკნელი ვადა 300,000 მან. კურსისა ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით თითო ოქროს მანეთზე იმ მსესხებლებისათვის, რომელთაც შემოიტანეს განცხადება ამა წლის 27 ივნისისამდი,

თავდება 31 ამა აგვისტოს და, რომ მას შემდეგ ვალების გადასახდელათ შ მოღებული იქნება მომატებული კურსი.

# ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსად. აგების სამუშაოთა უფროსის სამმართველო

ამით აცხადებს რომ ა. წ. 28 აგვისტოს
დანიშნულია

# შეჯიბრება

იჯარით ასაღებათ ზაჰესისათვის სამასალო საწყობის ასაგებ სამუშაოთა, რომლებიც შესდგება:

1) ეკლიან მავთულის ღობე ხუთ რიგად ბოძებზე 1 საჟ. სიმაღლით საერთო მანძილით 45 გრძივი საჟენისა.

2) მიწის ნაყარის პლატფორმა 0,5 საჟ სიმაღლით და 5 საჟ. × 40 საჟ.

3) ქვის კედლები—კირზე წყობით პლატფორმის ნაყარის დასამაგრებლად დაახლოვებით 16 კუბ. საჟ.

4) ხის ფარდული ლითონის სახურავით ნივნივით სიდიდით გეგმის მიხედვით 4,5 საჟ. × 15 საჟ. სიმაღლე 1,4 საჟ.

2) ხის შენობა საწყობისათვის ფიცრებიანი კედლებით ლითონის სახურავით გეგმის მიხედვით სიდიდით 4,5 საჟ. × 15 საჟ. და სიმაღლით 1,4 საჟ.

6) დროებითი საცხოვრებელი შენობა ფიცრებიანი კედლებით და დახურული ყავრით, ხის იატაკით და ჭერით მთლიანად ავლესილი შიგნით საერთო ასპარეზით გეგმაში დაახლოვებით 50 კვ. საჟ. და სიმაღლით 1,7 საჟ.

ყველა სამუშაო შესრულებული იქნება ზაჰესის მასალებით, ხოლო ხელსაწყო უნდა იქნეს მოიჯარარის.

სამუშაოთა შესრულების ვადა ერთი თვე ნახევარი.

იმ პირებს, რომლებსაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუშაონი მთლიანად, უნდა შემოიტანოს ამის შესახებ წერილობითი განცხადება დაწესებულის ნიმუშის თანახმად ბლანკზე დახურულ კონვერტებში წარწერით: ზაჰესის სამუშაოთა უფროსს 1923 წ. 28 აგვისტოს შეჯიბრებისათვის; ამ რიცხვს გაიხსნება კონვერტები.

ფასები აღნიშნული უნდა იქნეს ჩერვონეცის მანეთებში.

ფულის გადახდა იწარმოებს ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით საგადასახადო ქვითარის შედგენით დღის კურსით, რომელიც იქნება საფონდო ბირჟის მიერ გამოცხადებული.

განცხადებასთან დართული უნდა იქნეს ქვითარი ზაჰესკომის სალაროში საიჯარო თანხის 5 პრო. საწინდარის შეტანის შესახებ.

საწინდარი უძრავი ქონების სახით და სხ. ამგვარი მხედველობაში არ იქნება მიღებული და საწინდარის შეტანისაგან არავინ არ იქნება განთავისუფლებული,

საწინდარი თანხები იმ ორგანიზაციების და პირების, რომლებსაც არ მიეცემათ სამუშაო დაუყონებლივ დაუბრუნდებათ შეჯიბრების შედეგების გამორკვევისთანავე.

საწინდარი იმ პირისა, რომელმაც აიღო სამუშაო, რჩება ზაჰსკომის სალაროში და შევსებულ იქნება 10 პროცენტი საიჯარო თანხის, პირველ გადასახდელ თანხებიდან 10 პროცენტის დაჭერით და დაუბრუნდება სავსებით სამუშაოს დამთავრების შემდეგ.

ზაჰესკომი იტოვებს უფლებას გასცეს სამუშაო არა უმცირეს ფასებშიაც, მიიღებს რა მხედველობაში მოიჯარადრის წინანდელ მუშაობას, მის გამოცდილებას და მის მიერ სამუშაოს წესიერად შესრულებას.

ვრცელი პირობების- და ნახაზების გაცნობა შეიძლება ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში, ყოველ დღე, დილის 10—12 საათ. ქ. ტფილისი, ლ. დუმბაძის ქუჩა, სახლი № 3.

იქიდანვე გაიცემა დაწესებულ ნიმუშის მიხედვით ბლანკები განცხადებისათვის.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის აგების სამუშაოთა უფროსი,
ინჟ. **ჰიჰინაძე.**